**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

30 აპრილი 2024

N 01/1/753

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიას

როგორც თქვენთვის ცნობილია, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში გზშ-ის პროცედურის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით **შპს „ბახვი 2“-ის მიერ წარდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მდ. ბახვისწყალზე ბახვი 2 ჰესის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და 35 კვ ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანის პროექტის სკრინინგის ანგარიშის განცხადება.**

სკრინინგის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - www.ei.gov.ge

ვინაიდან „უქმე დღეების განსაზღვრის შესახებ” საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აპრილის N153 დადგენილების საფუძველზე, 2024 წლის 7, 8 და 10 მაისი ქვეყანაში გამოცხადებულია უქმე დღეებად, ამიტომ დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს მითითებული ვადის (2024 წლის 10 მაისის ჩათვლით) ნაცვლად **2024 წლის 15 მაისის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელ-ფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელ-ფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

გთხოვთ, უზრუნველყოთ წარმოდგენილი განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და ოფიციალურ ვებგვერდზე და წარმოგვიდგინოთ აღნიშნულის დამადასტურებელი ფოტომასალა.

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი